კანტორა და რედაქცია
…ილისი, სასახლის ქ.,
…თ.-აზნაურთ ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

…პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)
სასეირნო ბაღი

**არმაზი**

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
**ყველაფერი იაფად**
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—24) გ. ჩხარტიშვილი

ახლად გამართული რესტორანი

**„იუჟნი ნომერა"**

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
**ფასი ყველაფრისა იაფია**

(30—12) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужины, дешевизна




ღვინის სარდაფი

**„იყალთო"**

თ. გიორგი დ ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

**იყალთო**

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
**„ИКАЛТО"**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—9)

პანსიონი და სასწავლებელი

**ნ. დიდებულიძისა**

**გადავიდა** ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.
მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.

შპალერების საწყობი

**ი. გ. მელიქიშვილისა**

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
**І. Г. МЕЛИКОВА**
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—35)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. გ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის **D-r ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. გ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ,

ქ. ქუთაისი
ამ წლის ენკენისთვეში
ქუთაისის სამკითხველოს
ფონდისთვის
გამართული იქნება
**ვაჭრობა-ბაზრობა**
დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.

(12—6) ელენე ჯინოშვილისა

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

2 აგვისტო.

**სახალინი.** 1-ლ აგვისტოს აქ მოვიდა პრუსიის პრინცი, ინახულა სატუსაღო და მიდის კუნძულის მცხოვრებთა სანახავად.

**ვაშინგტონი.** სტატს-სეკრეტარმა დეიმ გვაუწყა ოქმის შინაარსი: 1) ესპანია ხელს იღებს კუბის ბრძანებლობაზე; 2) პორტორიკო და ისპანიის სხვა ანტილის კუნძულები გადაეცემა შეერთებულ შტატებს, უკანასკნელთა არჩევ-

ნებისამებრ. 3) სანამ ზავის ხელშეკრულება მოხდებოდეს, რომელშიაც ნათლად იქნება განუსაზღვრელი გამგეობის წესი და კანტროლი ფილიპინის კუნძულებზე, შეერთებულ შტატებს დაჭერილი ექნებათ ქალაქი, ბუხტი და პორტი მანილა; 4) კუბიდან, პორტორიკოდან და ანტილას სხვა კუნძულებიდან დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნება ჯარი; კომისიის წევრნი, რომელნიც უნდა დაინიშნონ 10 დღის განმავლობაში, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან ათი დღის შემდეგ უნდა შეიკრიბნენ გავანასა და სან-ხუანში, ჯარის-გაყვანის შესახებ დაწვრილებით მოსალაპარაკებლად და შესაერთებლად. 5) შეერთებულმა და ისპანიამ უნდა დანიშნონ არა უმეტეს ხუთი წევრისა კომისიაში ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. ისინი უნდა შეიკრიბნენ პარიზში არა უგვიანეს 1-ლ ოქტომბრისა.

**ვაშინგტონი.** ზღვის სამინისტრომ მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ სამპსონის მიერ გაგზავნილმა ესკადრამ მოითხოვა ქ. მანზანილიოსაგან იარაღის დაყრა. კომენდანტმა უარი განაცხადა იარაღის დაყრაზე, — და ვაშინგტონში ზავის ოქმზე ხელის მოწერამდე 23 წუთით წინ ასტყდა ომი. ომის შესაწყვეტად ვაშინგტონის მთავრობამ მიანდო შაფტერს, გააგებინეთ მანანილიოს წინ მყოფი ესკადრის მმართველს, რომ ომი ისპანიასთან შეჩერებულიაო.

**ვაშინგტონი.** დეველ ბრძანება მიიღო შესწყვიტოს მანილიაზე ალყის შემორტყმა. ასეთივე ბრძანება მიიღო სამპსონმა კუბაზე ალყის შემორტყმის შესახებ. შაფტერმა დაამოწმა დეპეშის მიღება ომის შეწყვეტის შესახებ.

## ახალი ამბავი

*** **კავკასიის მთავარ-მართებელი** გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი მოვა კოჯორიდან ტფილისს 9 აგვისტოს, სალამოთი და იმავე დღეს სალამოს მატარებლით გაემგზავრება ტფილისიდან რკინის გზით სად. მცხეთამდე. აქედან მეორე დღეს მთავარ-მართებელი საქართველოს სამხედრო გზით გაემართება კავკავს და მოსკოვს, იმპერატორის ალექსანდრე მე-II-ის ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად,

*** **კავკასიის მთავარ-მართებლის** თანაშემწე, როგორც ისმის, დაბრუნდება ტფილისს 15 აგვისტოს.

*** **ახალი დრამა.** ჩვენ სიამოვნებით ვაუწყებთ მკითხველებს, რომ ვასილ როსტომის ძე ყიფიანს დაუწერია დრამა მთიულების ცხოვრებიდან. ვინც დასწრებია პიესის პირველ კითხვას, აღტაცებულნი არიან პიესის ღირსებით.

*** **ახალი რკინის გზა.** ხმა დადის, რომ პოსადი ტუაპსე უნდათ შეუერთონ ქ. ნოვოროსიას რკინის გზით.

*** **უფასო წიგნთ-საცავი ს. აწყურში.** ბატონს მელვინეთხუცესაშვილს შუამდგომლობა აღუძრავს სოფ. აწყურში (თელავის მაზრა) უფასო წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ.

*** **სტუდენტის სასიკვდილოდ დაჭრა.** სოფ. საჩხერეში (შორაპნის მაზრა) ამ დღეებში მძიმედ დასჭრეს მუცელში სტუდენტი ექიმი იაშვილი ერთ თავის ნაცნობთან ჩხუბის დროს. მორჩენის იმედი საეჭვო არისო.

*** **სამართალში მიცემა.** ყარსის ოლქის ახალ სამხედრო გუბერნატორს გენერ.-მ. ოდინცევს თანხმობა განუცხადებია იმაზე, რომ არდაგანის ოლქის ჩალდირის განყოფილების უფროსის კაპიტანის თავ. ხერხეულიძის საქმე, რომელსაც სამსახურში დანაშაულის ჩადენა ბრალდება, გადაეცეს გამოსაძიებლად სამოსამართლო გამომძიებელს.

*** **მეფუტკრეობის გამოფენა.** 15 აგვისტოს ტფილისში, კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურში გაიმართება მეაბრეშუმეობის გამოფენა. ამ გამოფენას გამართავს რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოება მეფუტკრეთა კრების დროს, რომელიც მოხდება 15—18 აგვისტოს. გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ ყველა მსურველთ. ექსპონენტებს შეუძლიანთ გამოფინონ ფუტკრებიანი და უფუტკრო სკები, მეფუტკრეობის იარაღები, თაფლი, ფიჭა, თესლი და თაფლიან მცენარეთა ნიმუშები, თაფლისა და ფიჭის ნაწარმოები. ადგილები დაეთმობათ მსურველთ უსასყიდლოდ.

*** **ყაჩაღის შეპყრობა.** ცნობილი ყაჩაღი ოსი ხინჩალაშვილი, რომელმაც გორის მაზრაში მოჰკლა საერო დარაჯი და გლეხი დალაქიშვილი, როგორც „ნ. ო.“-ს აუწყებენ, შეუპყრია ტფილისის განყოფილების ბოქაულს გუგუშვილს.

*** **გორის ანასტასიის სქალებო პროგიმნაზიაში** მოხდება: 27—28 აგვისტოს მისაღები ეგზამენები, 31-ს—განმეორებითი ეგზამენები, 1-ლ სექტემბერს—პარაკლისი და გაკვეთილების დაწყება. მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7 წლიდან, რომლებმაც სრულიად არ იციან რუსული ენა და თითქმის წერა-კითხვაც დედა-ენაზე. ყველა კლასებში არის თავისუფალი ადგილები.

*** **ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში** მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდან დაიცლება ინსპექტორის ადგილი. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა მიჰმართოს თხოვნით სასწავლებლის დირექტორს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს ატესტატი, ან მისი დამოწმებული პირი, იმის შესახებ, რომ მთხოვნელს დამთავრებული აქვს კურსი ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, მეხანიკურ ნაწილში,

*** **გორის ციხის მოწყობა.** კავალერიის გენერალს თავ. ი. გ. ამილახვარს განზრახვა აქვს გაიყვანოს თავისი ხარჯით წყლის მილი მდ. მტკვრიდან გორის ციხეში, გააშენოს იქ ბაღი და გაანათოს მთელი ციხე ელექტრონით.

*** **„ინჟინერი ფერშანგიანცის“ თავ-გასულობა.** გაზ. „კავკაზს“ თ. ალექსანდრე ბიძ. ერისთავი სწერს, რომ „ამ წლის აპრილის პირველ რიცხვებში გორის მოქალაქემ (?) ივან ფერშანგოვმა (ანუ უკეთ — ფერშანგიანცმა) შეჰკრა საზოგადო გზა, რომელიც ქ. გორიდან მიდის ს. რეხასა, თორტიზასა, გარეჯვარსა და სხვა სოფლებშიო; მე, როგორც ს. რეხის მცხოვრებმა, ჯერ ფერშანგიანცს მივმართე, მაგრამ მან პასუხის ღირსი არ გამხადაო; შემდეგ ეს განვუცხადე გორის მაზრის უფროსს, რომელმაც ჩემთან და ქალაქის ბოქაულთან ერთად, დაათვალიერა გზა, უბრძანა ოქმის შედგენა და სასამართლოში გადაცემაო. მას უკან ვუცდით და ვერ ვეღირსეთ განკარგულებას, ეს ოთხი თვეა დავდივართ შემოსავლელი გზით და ვაკეთებთ რამდენსამე ზედ-მეტ ვერს; ჩემგან ამ გზით გორამდე 3 ვერსია, ხოლო „ინჟინერის“ ფერშანგიანცის მეოხებით 8 ვერსს ვაკეთებთ. ამ დღეებში ქალაქის ბოქაულმა მაცნობა, სანამ მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე არ მოვა, საქმეს არ განიხილავენო. ის კი „ოტპუსკშია“, და მხოლოდ სექტემბერში მოვაო.

*** **მისაღები ეგზამენები** ტფილისის მიხეილის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში დაიწყება 25 აგვისტოდან. მედიცინური გასინჯვა — 20 აგვისტოდან.

— **ამიერ კავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში მოხდება:** [illegible]ვისტოს განმეორებითი ეგზამე[ნები] და ახლად მიღებულ მოწაფეების მედიცინური გასინჯვა; 27—წერილობითი ეგზამენები; 28—სიტყვიერი ეგზამენები; 1-ლ სექტემბერს —პარაკლისი და გაკვეთილების დაწყება. თავისუფალი ადგილე[ბი] არის: უნცროს მოსამზადებე[ლ] კლასში 5 (მხოლოდ თათრებისათვის) და უფროს განყოფილებაში — ათი.

*** **საჯარო გაჭრობა.** 12 აგვისტოს ქუთაისში, ქუთაისის ინჟი[ნ]ერთა დისტანციის სამმართველოში მოხდება საჯარო ვაჭრობა ქუთაისის ჯარისათვის ტყიბულის ქვა-ნახშირის მოტანაზე.

*** **ელექტრონის განათება ბათომში.** 1-ლ აგვისტოს ბათომის ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ გადასწყვიტა ქალაქის განათება ელექტრონით. განათების საქმე მიენდო ოლშევიჩისა და კერნის ფირმას, რომელიც დასთანხმდა შეასრულოს ყოველ გვარი სამუშაო 100 მან. და ამასთან აცხადებს, რომ იგი არ წარადგენს ხოლმე არავითარ დამატებით ხარჯი-აღრიცხვას, რომ საბჭოს ყველ[ა] თხოვნილებას შეასრულებს და თუ გამგეობა მოისურვებს, თანახმა არის განახილვინოს პროექტი რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოებას.

*** **ახალ-სენაკი.** † **ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძე.** 1 აგვისტოს ჩვენი მხარე საუკუნოდ გამოეთხოვა ნოქალაქევის (სამეგრელო) მხნე ბოქაულს ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძეს. მკითხველებს უეჭველად ეცოდინებათ, რომ განსვენებულმა ქავთარაძემ შარშან მაისის პირველ რიცხვებში გავარდნილი ყაჩაღი მ—ძე მძიმედ დასჭრა და დაიჭირა. ყაჩაღმაც ბერდენკის ტყვიით მკლავში დასჭრა ბოქაული, ჭრილობა ბოქაულისა საშიში გამოდგა, რის გამოც კლავი მისი მოჭრილ იქმნა. მას აქეთ მოჭრილი ხელი ბოქაულს მძიმედ სტკიოდა, ხოლო ამ გაზაფხულზე ტკივილი თან-და-თან ემატებოდა და ბოლოს იძულებულ იქმნა სამსახურისათვის თავი დაენებებია. განსვენებულმა ბეს. ქავთარაძემ სრული ოცმოცი წელიწადი იმსახურა ადმინისტრაციაში მის უკანასკნელ გამოთხოვების დღეს დიდძალი ქალი და კაცი დაესწრო. განსვენებულის კუბოს ამკობდა მაზრის სამმართველოდან მაზრის უფროსის ხელით მოტანილი გვირგვინი და თან შესაფერი სიტყვებით ცხედარს გვირგვინი დაადო. აგრეთვე სხვა-და-სხვა პირებისაგანაც იყო გვირგვინები. დასაფლავების დროს გრძნობიერი და შესაფერი

სიტყვა წარმოსთქვა ტრიფონ კალანდარიშვილმა და მასთან კიდევ აზნ. ანდრონიკე სალაყაიამ.

დამსწრე

*** **ფარცხანაყანევი** (იმერეთი) კეთილი მუშაკი. ილია წინასწარმეტყველის მოხსენების დღეს, 20 ივლისს, ს. ფარცხანაყანევის ამაღლების ეკკლესიაში წირვის აღსრულების დროს მობრძანდა ს. ქუხიდან ბ-ნი ნ. წერეთელი და შემდგომ წირვისა დამსწრე საზოგადოებას აუხსნა მარტივის და მდაბიო-გასაგების სიტყვებით სოფლის ბანკის მნიშვნელობა და მასთანავე ყველას სთხოვა, რომ მისივე დახმარებით და ხელ-შეწყობით დაეარსებინათ ქუხის სასოფლო ბანკის განყოფილება და აგრეთვე აბრეშუმის პარკის საწყობი. ბამბის მოყვანის თაობაზე და მის მნიშვნელობაზედაც ბევრი ებაასა ხალხს ბ-ნი ნესტორი, ბოლოს აღუთქვა საზოგადოებას მოხსენებულ საგნებზე კიდევ უფრო დაწვრილებით მოლაპარაკებას შემდეგისათვის და დაბრუნდა ს. ქუხში. ხოლო ხალხი, ნასიამოვნები გულ-შემატკივარ ბაასით, წავიდა თავ-თავის ბინაზე. მართლაც, ბ-ნი ნ. წერეთელი კეთილი და გულ-შემატკივარი მუშაკია და ბევრსაც აღუძრა სურვილი სხვა-და-სხვა კეთილ დაწესებულებათა დაარსებაზე. ხალხი სინამდვილით დარწმუნდა მის გულ-შემატკივრობაზე და დიდის ნდობით ეგებებიან ყოველსავე მის რჩევას...

მხოლოდ არ შეგვიძლია აქვე არ მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ ყოველსავე საქმეში მცირეოდენი შეცდომაც-კი ხალხის თვალში დიდათ სჩანს, რწმენას ურყევს და კეთილ საქმეს ასე თუ ისე ლაქსა სცხებს. მე მოგახსენებთ შესახებ ქუთაისის გუბერნიის „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ 1897 წლის ანგარიშისა, რომელშიაც ნამდვილათ თუ ბეჭდვით შეცდომა შეპარვიათ. აი მაგალითად: 1897 წ. გასავალში დაბეჭდილია ჯამი: 102,281 მან. 26 კ., უნდა იყოს: 102,815 მ. 26 კ.; აგრეთვე მეორე გასავლის ჯამში არის: 45,901 მან. 88 კაპ., უნდა იყოს: 45,941 მან. 88 კ. ცოტად თუ ბევრად შეგნებული აქ ნამდვილ შეატყობს, რომ ბეჭდვითი შეცდომა უნდა იყოს, მაგრამ ხალხში, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ყოველივეს მნიშვნელობა აქვს და სულ უბრალო რამეც-კი ურყევს მას რწმენას და ნდობას. ამისთვის ქუხის „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ გამგე კომიტეტი უფრო კარგს იზამდა ანგარიში 1897 წლ. კარგად გადაეთვალიერებინა და ისე დაერიგებინა ხალხისათვის.

ი. ბ—ძე

*** **ოჩამჩირე.** (აფხაზეთი) სასამართლოს მატიანე. 30 ივლისს ოჩამჩირის მომრიგებელ სამოსამართლო განყოფილებაში გარჩეულ იქმნა საქმე კ. ჟორდანიასი, რომელიც უჩიოდა კოდორის ნაწილის უფროსად ნამყოფს ბ-ნ ჩეჩელევს ცილის წამებას. მოწმედ იყო თვით მომრიგებელ მოსამართლე და მომრიგებელი შუამავალი; თვით ბ-ნი ჩეჩელევი საქმის გარჩევას არ დასწრებია. მომრიგებელ მოსამართლემ ბ-ნ ჩეჩელევს დაუსწრებელ განჩინებით ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

— **ქართულ-რუსული წარმოდგენა.** კვირას, 2 აგვისტოს, ქართული სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნა ქართულ-რუსული წარმოდგენა. ქართულად წარმოადგინეს „ბაიყუში“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“, რუსულად „სოროკ ტისიაჩ“ და „ვლიუბლიონი გიმნაზისტ“. წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით იყო.

—ლ.—

*** **დ. ბელაგორი.** მიწისძვრა. 31 ივლისს რომ დაღამდა, ესე იგი პირველი აგვისტო რომ თენდებოდა, ღამის 3 საათზე თუ ოთხის ნახევარი იქნებოდა, რომ მიწა იძრა, რომელსაც მძინარი ხალხი გადაეგორ-გადმოეგორა, სტოლზე ვინც იწვნენ ყველანი გადმოცვივდნენ, მიკიტნის დუქანში ბოთლები გადმოცვივდნენ და ერთი პატარა სახლიც, უბრალოთ ნაშენი, თითქმის გვერდზედ გადაეწია. ნამძინარევი ხალხი რომ ადგნენ ერთმანერთს ეკითხებოდნენ, რა ამბავიაო, ნახევარი საათის შემდეგ გაიგეს, რომ მიწის ძვრა იყო.

კოსტა გოქაძე

*** **ს. ნიგოითი** (გურია). სამკითხველოს უყურადღებობა. დიდათ სამწუხარო და სირცხვილიც არის ნიგოითის საზოგადოებისათვის, რომ ერთ სამკითხველოს ვერ მოუაროს; მაგრამ არ არის კი გასამტყუნარი: „როგორც კითხულობენ, ისე უვლიან“. აქამომდე რაც გაეწყობოდა კარგათ იყო ამ სამკითხველოს საქმე და ბევრად დაწინაურებული, ხოლო ეხლა კი თან და თან უკან მიდის. წიგნები რაც იყო იმის ნახევარი არ არის; ყველა ხელ მოუწერელათ წაღებულია და არც ერთი არა ჩანს. ვის დავაბრალოთ არ ვიცით. გამგე აქ არ არის, თორემ უთუოდ ამას ყურადღებას მიაქცევდა, როგორც გულ შემატკივარი და მოღვაწე სამკითხველოსი. კარგი იქნებოდა, რომ ნიგოითის საზოგადოებამ სამკითხველოს ყურადღება მიაქციოს, წაღებული წიგნები ვისაც აქვს, დაუბრუნოს და მით ერთხელ აღორძინებულ ყველასთვის სასარგებლო საქმეს, უკან არ დახევიოს.

ს. კ.

*** **ცხინვალი.** წყლის უქონლობა. ჩვენ არა გვგონია რომელიმე სოფელი ისე იყოს უწყლობით შეწუხებული როგორც ცხინვალი, ზემო ნიქოზი და ხვითები. ზამთრობით თუ ზაფხულობით ქვეყანა რომ წყალს მიქონდეს, აქ უწყლოობით იხოცებიან და აი ამის გამო გაჭირვებულ დროს ეს სამი სოფელი იყრის თავს ბარითა და თოხით და თხუთმეტი ვერსის სადევარს რუს ესენი ასუფთავებენ, გამოჰყავთ კეხვიდან წყალი (საშავეა) იმ განზრახვით, რომ წყურვილით არ ამოიხოცნონ, მერე ისრულებენ გულის წადილს? სულაც არა, გაურჯელათ მიესევიან ხოლმე სხვის ნაჯაფ-ნაშრომს ჯერ კეხველები, მერე ქურთელები, აჩაბეთელები, თამარაშნელები, ღვერისელები და შემდეგ ცხინვალელები მიუგდებენ მთელ რუს მიწავენახებში, და მოამაგესა და მოჭირნახულეს დასალევიც აღარა რჩება. სწორედ რომ უსამართლობაა და ამიტომ ყველანი თანაბრათ უნდა გამოვიდნენ, რადგან მომეტებული ზემოურებსა სჭირდებათ, რუს უნდა სიგანე და სიღრმე მოუმატონ (მამულის პატრონები ამის ნებასაც არ აძლევენ) რომ სათავიდან სამყოფი წყალი წამოვიდეს, მაგრამ საუბედუროთ არც სათავეში გახლავთ წესიერება; მთელ ტივის ხევს აქ უყრიან თავს: თავადი, ოსი და ქართველი. ამის გამო იკვრის წყალი და საცოდავებს ორდღეში ერთხელ აჩანჩალებენ. დიდი უსამართლობაა სწორედ, განა ერთს რომ განდიდების საღერღელი ჰქონდეს აშლილი, მეორე მშიერ-მწყურვალი უნდა მოკლას, სანაპიროები მრავლობითა აქვს ლიახვს და ისე მოიქცნენ, რომ არც წვადი დასწვან და არც შამფური.

— **დაძველებული სახლები.** ცხინვალში ზოგიერთი სახლები და შენობები, ისეა დაძველებულები რომ აუცილებელია რამე უბედურება არა მოახდინოს-რა. ნეტავ რასა ფიქრობენ პატრონები, ან პოლიცია? უშლის და არ იშლიან, დღესხვალიობით ატყუებენ შეკეთებას. საჭიროა, პოლიციამ ძალა იხმაროს, მანამდის უბედურება დატრიალდებოდეს.

— **მევახშეობა ჩვენში.** არც ერთ ქვეყნის კუთხეზე არ იქნება ისეთი სარგებლის აღება, როგორც აქაა, გუშინდელი ჩარჩ-ბაცაცა დღეს ბანკირათ გადაქცეულა, ავალებს და ავალებს თუმანს მანეთათ ბ ათ შაურათ, ვექსილები ერთი ორათა და მეტათ, გირაოები კიდევ სხვა არის, ამათ არაფერი კანონი არ აშინებთ; ან კი კანონი რა შუაშია, როცა ნება-ყოფლობითაა საქმე აშენებული...

— **ღამის ღორებმა დაგვჭამოს.** ამ დალოცვილ ცხინვალელებს ღორიც უყვართ, ძროხაცა და ვირიც; ერთი სიტყვით ყველაფერი უყვართ, ხოლო შენახვით კი სოფელს ანახვინებენ, ნამეტნავად ამ ღორებმა გაგვიჭირეს საქმე, დღე არხეინათ ქუჩებში დანავარდობენ, (არამც თუ ქუჩებში, ერთმა ფოსტის მოხელემ მიამბო, მეორე სართულში ამოდიან ამართული კიბითაო) და ღამე ბოსტნებსა და ვენახებს იკლებენ, თუ პატრონებს ნამუსზე ხელი აუღიათ, რას ფიქრობს პოლიცია; ნუ თუ იმას რომ სოფელიაო?! საჭიროა და დიდათ საჭიროც ამგვარ მაწანწალა ღორი იქნება თუ ძაღლი ქუჩაში ფეხს ამოაკვეთინებდნენ და ქუჩების წესიერებას დაიცავდნენ.

— **წყალ-მიუდგომელი ბაზარი.** არის ერთი მოზრდილი ბაზარი შუა ცხინვალში, რომელსაც წყალი არ უდგება გარდა ქართველების ეკკლესიიდან, რომელსაც ეკკლესიის მზრუნველნი არ ანებებენ. ხოლერობის წელიწადს გამოჰყავნდათ და მოგვეცათ ღვთის წყალობა ბაზარი დარაკრაკებული იყო; ეხლა კი რაც წყალი აუკვეთეს, ბაზარს აღარ შეეხედება, ისეა წარყვნილი. ურიგოს არ იზამენ ამ ეკკლესიის მზრუნველნი დაუვლიდნენ დუქან-ბაზარს, მოჰკრებდნენ დუქნეულათ თითო-ოროლა მანეთს ეკკლესიის საჭიროებისათვის და ამ წყალს გაიყვანდნენ და ქუჩებს ლაზათს დასდებდნენ, არც თვით ეკკლესიის მოუვა ცუდი საქმე, რადგან ყოველი პირუტყვი იქაც ისე დათარეშობს როგორც კარში; თუმცა გალავანი ავლია, მაგრამ კარებები რაღაც მეტ ბარგათ მიიჩნიეს და ჩამოიღეს.

— **ჩვენებური ყმაწვილები.** არსად და არც ერთ კუთხეზე არ უნდა იყოს იმისთანა ყმაწვილ-კაცობა, როგორც ჩვენში არიან უბრალოთ მოხეტიალენი, ბანქოს მოთამაშენი, და მასთან ზნედაცემულნი, ან კი რა გავამტყუნო ჯერ ძვალ-რბილ გაუმაგრებელნი რა მაგალითს ვაჩვენებთ. ნათქვამია: „ქვევრს რასაც ჩასძახებ იმასვე ამოგძახებსო“, აი მაგალითი ამ ორი დღის წინად სამი-ოთხი დარბაისელნი მიხტომოდნენ ერთის ღარიბ-ღატაკის მენახირის ცოლს (ამბობენ მეძავეაო), გამართულა ერთი ორომტრიალი ამათში ჩარეულან მეზობლებიც და ლაზათიანათ დაუზელნიათ. აი როგორი მასწავლებელნი გახლავან ჩვენის მოზარდი თაობისა.

— **სხვა და სხვა გადამდები მოარულები.** რაღაც ხოლერის მგზა-
სი ავადმყოფობა დაძვრება. პი-

დან და ტანიდან ასაქმებს, ორი სამი დღე სიცხეს აძლევს, მადა სრულიად დაკარგული აქვს, ამასთან ყივანახველა, ყვავილი და სხვა ავადმყოფობა ერთმანეთში არეულია, რომელსაც ზარალიც მოაქვს.

— **გაჩაღებული კალოობა.** იტყვიან ერთი ჭირი მარგებელიაო, ჩვენსკენ ერთობ ადრე დაიწყო კალოობა; მიზეზი ის გახლდათ— ღარიბსა და მდიდარს ყველას ერთნაირათ აკლდა სულადი, რის გამოც დიდმა და პატარამ აუჩქარეს, მოსავალს არ ემდურებიან სიმინდს ხომ უკვდავების წყაროთ გადაექცა ამ ერთი კვირის წინ მოსული ავდარი.

კვირიკელა

## რედაქციისაგან

**ჩოხატაურში** ალ. სიხარულიძეს. უკეთესია ჯერ პირადად ან წერილით მიმართავდეთ ანტონ ქლენტს და მოსთხოვდეთ ანგარიშს საქველ-მოქმედო წარმოდგენიდან.

## თეატრის მატიანე

**სახალხო წარმოდგენები ნამალადევში.** კვირას, 2 აგვისტოს, ნაძალადევში ბ. ადამიძის გამგეობით სცენის მოყვარეებმა წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს ვ. გუნიას სამ მოქმედებიანი კომედია „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. წარმოდგენის დაწყებამდე ბ. ადამიძემ დამსწრე საზოგადოებას აუხსნა თეატრის მნიშვნელობა, თუ რამდენათ აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს თეატრს ხალხისათვის, რაგვარის სარგებლობის მოტანა შეუძლიან და სხ. „გარდა ამისა, რომ ჩვენ წარმოდგენებით ვიძენთ სულიერ საზრდოს, სთქვა მან—გასართობიცაა; კვირა-უქმე დღეებში ძალა-უნებურად ხალხი (დღიური მუშები) ეტანება სამიკიტნოებსა, სადაც ხარჯავს თითქმის უკანასკნელ გროშს, ილახება ზნეობრივ-გონებრივათ, ქონებრივათ, აქ, თეატრში კი, სულ მცირე სასყიდლით შეუძლიან გაერთოს და ნასიამოვნები დარჩეს. არც ერთი ჩვენთაგანი თეატრის შემოსავალს ჯიბეში არ ჩაიჩხრიალებს, თუ რაიმე გამორჩენა იქნება, მოხმარდება აქაურსავე საზოგადო საქმეებს (სკოლას, ეკკლესიის აშენებას და სხ.) და სხვ...

პიესა გვარიანად იყო მომზადებული; ეტყობოდა რეჟისორს დავირვება ხელ-მძღვანელობა; (მონაწილეობდნენ ქქ. ხაფთასი, არ-[illegible]იანი, ბბ. ძნელაშვილი, ბაქრაძე, [illegible]ელიძე, ჯაბაური და ლა[illegible]იბაშვილი) მხოლოდ ზოგ მოთამაშეთ ეტყობოდა არაბუნებრივობა: ძალდატანებით უხალასო სიცილი, მიხვრა-მოხვრა. მსახიობი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ შეითვისოს როლის ბუნებრივობა, თორემ ტყუილად რომ სახელი ერქვას მომქმედ პირისა და სიტყვებს იმეორებდეს, ეს ემგვანება უხეირო მანქანას, მოქმედ-მოძრაობას, რომელიც ხელოვნებას მოკლებულია და რაც ხელოვნებას მოკლებულია, იგი ვერ აკმაყოფილებს გემოვნების მოთხოვნილებას.

ქ-ნ ხაფთასის სანაქებოდ უნდა ვსთქვათ, რომ იგი თან და თან ეჩვევა სცენას; ქების ღირსია იგი, რომ ეს მეორე წელიწადია, სახალხო სცენას ემსახურება, არ აქცევს ყურადღებას მომეტებულათ შეუგნებელ ცუდს შეხედულებას და დაუზარებლათ თამაშობს. აგრევე ითქმის ზემორე დასახელებულ ყმაწვილ კაცებზედაც.

სოსიკა

—

**დ. ზუგდიდი. ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** 25 ივლისს დაბა ზუგდიდში ქართული სცენის მოყვარეთაგან ზუგდიდის უფასო ქართულ სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა „გაყრა“ კომედია გ. ერისთავისა და ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება“ ვ. გუნიასი. ორივე პიესამ მშვენივრად ჩაიარა, ნამეტნავად მეორემ. საუცხოვოდ ასრულებდა და შვენოდა კიდეც ქ-ნ სონა ბასილაიას ასულს პირველში მაკრინეს და მეორეში ცქრიალა ნუცას როლი, ასე, რომ ნამდვილად ავტორის ნუცას წარმოადგენდა, ნამეტნავად იმ ადგილებში, სადაც ნუცა შეშლილს ემსგავსება და „ჰამლეტიდან“ ოფელიას სასიმღერო ლექს მღეროდა. ქ-ნი ბასილაიას ასული, ეს მეექვსეჯერ გამოდის სცენაზედ და ეტყობა, რომ თან და თან ვარჯიშდება და დიდ ნიჭს იჩენს ამ საქმეში; იმედია მომავალში უფრო მტკიცედ მოჰკიდებს ხელს ამ სასახელო საქმეს და მით თავსაც გამოიჩენს და სარგებლობასაც მოიტანს.

აგრეთვე ჩინებულად აასრულა თავისი როლი ქ. მ. დარჯანიას ასულმა, რომელმაც ნამდვილი ეფროსინე დაგვისურათა, რაც შეეხება ყმაწვილებს, ყველამ რიგიანად ითამაშეს თავიანთი როლი, მხოლოდ ცოტას კოჭლობდა გრიმიროვკა, სახის გაკეთება, მაგრამ ეს მიზეზი მოთამაშეთ არ ეხება.

წმინდა შემოსავალი დარჩა სამკითხველოს 23 მან. და შვიდი შაური ფულად, ერთი მანეთის მარკა და 2 მან. 50 კაპ. სომხური კაბა. იმავე სცენის მოყვარე ამხანაგობამ, ქქ. ს. ბასილაიას ასულმა, მ დარჯანიას ასულმა, ბბ. ვ. გეთიამ და პლატონ ბასილაიამ ადრევე შეძენილი დეკორაცია ღირებული ორმოც მან. შესწირეს სამკითხველოს. დიდ მადლობას ვუცხადებ, როგორც შეწირულებისათვის, აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის ზემოხსენებულ პირთ და ნ. საბაშვილს, ა. კაკაბაძეს, ა. ქადარიას, თ. თოლორიას, მ. კეიდიას, გ. კეიდიას, ვ. კვარაცხელიას და წ. წულეისკირს. აგრეთვე დიდ მადლობას ვწირავთ კნ. ვ. დადიანისას, ლორთქიფანიძის ასულს, თავ. ტარიელ ნ. დადიანს, რომელთაც შემოსწირეს ორი ცოცხალი სურათის თავ-მორთულობა და დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს. არა მცირედი შრომა მიუძღვის პ. ჯიჯიხიას ამ საქმეში.

ზუგდიდის სამკითხველოს გამგე
ტრიფონ თოხაძე

## ბისმარკიანი

**ბისმარკი და სახლის პატრონი.** როცა ბისმარკი პრუსიის ელჩად იყო ფრანკ-ფურტში, თავის მასპინძელს, სახლის პატრონს სთხოვა, ჩემი კაბინეტიდან მოსამსახურის ოთახში ზარის დასარეკი მავთული გაიყვანეო. სახლის პატრონი ფრანკ-ფურტელი იყო და პრუსიელები სძულდა; მან ბისმარკს თხოვნა არ შეუსრულა და მიუგო, თუ გნებავთ თქვენს მსახურს დაუძახოთ ხოლმე, თქვენი ხარჯით მოაწყვეთ ზარიო. თქვენ მე სხვებში ვერ გამოგარჩევთ, თუმცა პრუსიის ელჩი კი ბრძანდებითო.

მეორე დილას მთელ სახლში გაისმა დამბაჩის ხმა. შეშინებული სახლის პატრონი შევარდა ბისმარკის კაბინეტში და დაინახა სტოლზე ჯერ იხევ კვამლიანი დამბაჩა, ხოლო სტოლთან—ელჩი, რომელიც არხეინად ეწეოდა სიგარას. „თუ ღმერთი გწამთ, ბ. ფონ-ბისმარკო, მითხარით რა ამბავია?“ არაფერი, ჩემო უძვირფასესო ბ. გრიუნო, მე მხოლოდ ჩემ მსახურს ვანიშნე, რომ მასთან საქმე მაქვს. იმედია თქვენ აღარ შეგეშინდებათ, როცა დამბაჩას გავისვრი ხოლმე მსახურის დასაძახებლადო“. იმავე დღეს ბისმარკს მოუწყვეს ზარი.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

**მარინესი**
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა
**ფასი ერთი შაური**
(10—2)

**საზღვევი საზოგადოება**
**„იაკორი“**
**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
დებულობს
**დაზღვევას ცეცხლისაგან**
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას
**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**
**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.
**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**
на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—36)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Августа 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია